საიას წარმატებული საქმე

„საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან“ უკანონოდ გათავისუფლებულმა კიდევ ერთმა პირმა მოიგო სასამართლოში დავა

GYLA.GE

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან“ უკანონოდ გათავისუფლებულმა კიდევ ერთმა პირმა

მოიგო სასამართლოში დავა

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, □ □ დაკმაყოფილდა სსიპ Ḍ□□□□□□□□□□□ ეროვნული მუზეუმის □ ყოფილი თანამშრომლის სარჩელი. სასამართლომ სრულად გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია როგორც □□□□□□□□□□ გარემოებებთან, ისე - სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით. საქმეში გამოიკვეთა რეორგანიზაციის ფარგლებში კომპეტენციის არასათანადოდ შემოწმების პრობლემა, შეფასების კრიტერიუმების არარსებობა და დასაქმებულისთვის ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის შეთავაზებაზე უარი, რაც სრულად ეწინააღმდეგება მოქმედ შრომის კანონმდებლობას.

გადაწყვეტილების თანახმად, Ḍ□□□□□□□□□□□ ეროვნულმა მუზეუმმა □□□ განხორციელებული რეორგანიზაციის ფარგლებში, დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა 2022 წლის 1 ივნისიდან შეწყვიტა. ხელშეკრულების შეწყვეტამდე განხორციელდა რეორგანიზაციის ფარგლებში შექმნილ კომისიასთან გასაუბრება, თუმცა კომისიას კანდიდატის კომპეტენციის შემოწმების მცდელობაც კი არ ჰქონია. საბოლოოდ კი, განთავისუფლების მიზეზად თანამშრომლის კომპეტენციის არადამაკმაყოფილებელი დონე დასახელდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სსიპ Ḍ□□□□□□□□□□□ ეროვნული მუზეუმის □□□□□□ მოსარჩელესთან შრომით ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე **მიღებული გადაწყვეტილება (გათავისუფლების ბრძანება) ცნო ბათილად,** ასევე, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელისთვის იძულებითი განაცდურისა და კომპენსაციის სახით 5 000 ლარის ანაზღაურება.

გადაწყვეტილება ამ დროისთვის არაა შესული კანონიერ ძალაში.

მოსარჩელის ინტერესებს სასამართლოში საია იცავდა.